ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №35

14.12.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

15:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
6. ნინო წულაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032334259-03; 08.12.2023).

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

კომისიის სხდომა გაიმართა ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

გ.თალაკვაძემ ვრცლად ისაუბრა თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე.

როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 1 763 354,7 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632 132,6 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 131 222,1 ათასი ლარით, ხოლო 2024 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 700 912,4 ათასი ლარი) შედარებით 62 442,3 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის" მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 8 ნოემბერს მიღებული წერილის (N04-03/87987) გათვალისწინებით, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით დამატებით გამოეყოფა 60,000.0 ათასი ლარი, ხოლო მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა მცირდება 145.4 ათასი ლარით. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყოფა სხვა კაპიტალური გრანტების სახით 2,000.0 ათასი ლარი თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) და თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად. გარდა ამისა, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვერსიისგან განსხვავებით, წარმოდგენილ პროექტში განისაზღვრება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 465.3 ათასი ლარის ოდენობით (საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის" განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ). პროექტის თანახმად, დაზუსტდა სხვა შემოსავლების ჯამური მოცულობა 122.4 ათასი ლარით და განისაზღვრა - 280,683.0 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის იზრდება მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 99.8 ათასი ლარით და განისაზღვრა 1,194.8 ათასი ლარით, ხოლო შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე იზრდება - 22.6 ათასი ლარით და შეადგენს 283.2 ათასი ლარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 708 254,7 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 577 032,6 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 131 222,1 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ

ვერსიასთან (1 645 812,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 62 442,3 ათასი ლარით.

2024 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 42 938,9 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 567 498,1 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 267 969,4 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 221 611,1 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2 153,5 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 796,3 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 920,1 ათასი ლარი;
- განათლება - 248 047,1 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 7 297,0 ათასი ლარი;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 219 527,4 ათასი ლარი.

ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენის პრიორიტეტი განსაზღვრულია 567 498,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (522 096,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 45 401,7 ათასი ლარით, ხოლო პირველად წარმოდგენილ პროექტთან (542 391,1 ათასი ლარი) მიმართებაში - 25 107,0 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: პრიორიტეტის ფარგლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის (კოდი 01 01) გათვალისწინებულია 116,313.0 ათასი ლარი, რაც პირველად ვერსიასთან შედარებით 23 107,0 ათასი ლარით მეტია. ტრანსპორტის განვითარების პროგრამის (კოდი 01 02) ფარგლებში თანხის მატება აღინიშნება გარკვეულ ქვეპროგრამებში. მათ შორის ქვეპროგრამაში - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 1 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 41,558.0 ათას

ლარს; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (01 02 03) - 1 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 3,783.3 ათას ლარს. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (01 02 02) და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) წარმოდგენილია იგივე თანხებით და შეადგენს 122,773.4 ათას და 283,070.4 ათას ლარს.

შ.ოგბაიძე - წარმოდგენილი პროექტი ცხადჰყოფს, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება დედაქალაქის ბიუჯეტისთვის კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2024 წელს განხორციელდება მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. მოხდება ახალი გზების მშენებლობა და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაცია. უზრუნველყოფილი იქნება ავტობაზების მოდერნიზება და თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა. გაუმჯობესდება მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი. აგრეთვე, ,,თბილისის ავტობუსების პროექტის" ფარგლებში გაგრძელდება საავტობუსო პარკის განახლება-შევსება. მათ შორის დაფინანსდება CNG-ის ძრავზე მომუშავე ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსების შეძენა.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **შ.ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხი:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის (12-032334259-03; 08.12.2023) საკრებულოს სხდომაზე გატანა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 2, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032334259-03; 08.12.2023) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე